ნასყიდობის ხელშეკრულება №რქმ/--

ქ. თბილისი __ _____ 2017 წელი

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ს/კ 202460103), შემდგომში – “გამყიდველი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძეს სახით და ---------- (პირადი/ს/კ №----------) შემდგომში – “მყიდველი“, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ 2017 წლის ---------- გამოცხადებული №--------- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს ”ჯიარ ქონების მართვის” მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით ქონების რეალიზება.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ”გამყიდველი” საკუთრებაში გადასცემს ”მყიდველს” : ---------- .

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----------(----------) ლარს, დღგ-ს ჩათვლით (ელექტრონული აუქციონზე „მყიდველის“ მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ”მყიდველის” მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) ჩარიცხულია შპს ”ჯიარ ქონების მართვის” საბანკო რეკვიზიტებზე, რაც დასტურდება საგადახდო დავალებებით (თან ერთვის);

4.2 ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ ”მყიდველსა” და ”გამყიდველს” შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 ”მყიდველი” ვალდებულია ქონების გატანა განახორციელოს საკუთარი ხარჯებით და გატანის პროცესში უზრუნველყოს შპს ”ჯიარ ქონების მართვის” წარმომადგენლის დასწრება.

5.3 ”გამყიდველის” მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, უფლებამოსილი პირია ----------.

5.4 ქონების გატანასთან დაკავშირებული პროცედურები (დატვირთვა,ტრანსპორტირება და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამუშაო დღეებში 9^{00} საათიდან - 17^{00} საათამდე.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება;

6.2 ”მყიდველი” ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშკეურლების ობიექტის გატანა ”გამყიდველის” ტერიტორიიდან;

6.3 ”მყიდველი” ვალდებულია გაიღოს გაყიდული ქონების ტრანსპორტირების, საჭიროებისას დემონტაჟის და სხვა აუცილებელი საბუთების გაფორმების (ან/და გადასახდელების) ხარჯები;

6.5 ქონების გატანის პროცესში მყიდველმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა (მათ შორის გარემოსდაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვა), რომელთა დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს;

6.6 ნაყიდი ქონების ადგილზე დაჭრისა თუ უტილიზაციის შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია გაიტანოს დარჩენილი ნარჩენები და გაასუფთაოს ტერიტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში

გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.
6.7 ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში "მყიდველი" ვალდებულია "გამყიდველს" გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საგნის თითოეული გასატანი ერთეულის ღირებულების 0,1 %.

7. დავის გადაწყვეტა
7.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულები მოქმედების ვადა
8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. დასკვნითი დებულებები
9.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, საიდანაც ორი გადაეცემა "გამყიდველს" და ერთი "მყიდველს".
9.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

"გამყიდველი"	"მყიდველი"
შპს "ჯიარ ქონების მართვა"	----------
ს/კ 202460103	----------
ქ. თბილისი, თამარ მეფის ქ. N15	ტელ.: ---------
ტელ.:	
_____	_____
_____	_____
_____	----------

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი “ ” 2017 წელი

ერთის მხრივ, შპს ”ჯიარ ქონების მართვა” (შემდგომში ”გამყიდველი”) წარმოდგენელი მისი ----------(პირადი №----------) სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში ”მყიდველი”) (საიდენტიფიკაციო/პირადი №----------) ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ”გამყიდველმა” გადასცა, ხოლო ”მყიდველმა” მიიღო 2017 წლის ---------- გაფორმებული №---- ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება - ----------.

მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 3 ეგზემპლარად, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის.

”გადამცემი”	”მიმღები”
შპს ”ჯიარ ქონების მართვა”	----------
----------	----------
----------	----------